

შპს „ვია დისტრიბუცია“

(ს/ნ: 405 174 047)

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

სარჩევი:

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2

საქმიანობის შედეგები

3

ფულადი სახსრების მოძრაობა

4

ზოგადი ინფორმაცია, სააღრიცხვო პოლიტიკა

5-8

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (N):

9-10

ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოშვებულ იქნა ხელმძღვანელობის მიერ.

:


დირექტორი : რევაზ ანთაძე

გულნარა მარღიშვილი/მთ. ბუღალტერი/

თარიღი

2025 წ

2025 წ



შპს „ვია დისტრიბუცია“

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2024	N	31/12/2023
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	23962	1.1	36724
სავაჭრო მოთხოვნები	105656	1.2	1259333
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი			0
მარაგები			0
- მზა პროდუქცია	1708	1.3	104578
- სხვა			
სხვა მიმდინარე აქტივები	3749	1.4	2956
- თვითღირებულების მოდელით			
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1404		2155
სხვა გრძელვადიანი აქტივები			
სულ აქტივები	136479		1405746
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
სავაჭრო ვალდებულებები	90608	1.5	1154937
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ			
საგადასახადო ვალდებულებები	0		0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები (დამფუძნებლისაგან)		1.6	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (ბანკიდან)		1.7	
სხვა ვალდებულებები	0		0
სულ ვალდებულებები	90608		1154937
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	45871		250809
სხვა რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი	45871		250809
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	136479		1405746

რევაზ ანთაძე /დირექტორი/

გულნარა მარდიშვილი/მთ. ბუღალტერი/



შპს „ვია დისტრიბუცია“

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის საქმიანობის შედეგები

	2024	2023
ნეტო ამონაგები		
საქონლის გაყიდვიდან (თვითღირებულება გამოკლებულ-მარჟი)	439957	1636258
მომსახურების გაწევიდან		
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-568862	-1191122
ცვეთა და ამორტიზაცია	-751	-1559
საპროცენტო შემოსავალი:		
საპროცენტო ხარჯი :	-6877	-6336
იჯარის ხარჯი	0	-82600
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-21580	-176720
სულ საოპერაციო ხარჯები	-598070	-1458337


საოპერაციო მოგება	-158113	177921
-------------------	---------	--------

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		N
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	15559	-47020
მიღებული დივიდენდები/		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი ან/დ ახარჯი	-1884	-3061
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	-144438	127840
მოგების გადასახადი	-9075	-6690
მოგება/(ზარალი)	-153513	60940

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	250809	568816
განაწილება მესაკუთრეებს (მათ შორის დივიდენდი)	-51425	-378947
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	45871	250809

რევაზ ანთაძე /დირექტორი/

გულნარა მარლიშვილი/მთ. ბუღალტერი/




შპს „ვია დისტრიბუცია“

2024 წ. 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობა

	2024	2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-28321	-85702
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	-28321	-85702
სავალუტო კურსის ეფექტი	15559	-47020
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	37724	169446
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	23962	36724

რევაზ ანთაძე/დირექტორი/

გულნარა მარლიშვილი/მთ. ბუღალტერი/



ზოგადი ინფორმაცია:

შპს “ვია დისტრიბუცია” დაარსდა 2016 წლის 03 ნოემბერი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული ფორმა- შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ., N 14, ბინა N47

კომპანიის დამფუძნებლები:

მაკა ბარათურია (01007001539) – 33,4% ;

იოსებ მაისურაძე (01025003884) – 33,3%;

რევაზ ანთაძე (01024001123) - 33,3 %

დირექტორი - 01024001123, რევაზ ანთაძე

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს : ჰემოდიალიზის მომწოდებელი დაწესებულებების სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა.

მომზადების საფუძელი

კომპანიის თანდართული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის. ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. კომპანიას ფინანსური ანგარიშგება გამოყენებული აქვს 2018-2019-2020 წლებში IV კატეგორიის საწარმოს სახით, ხოლო III კატეგორიის საწარმოს სახით მსს ფასს-ის პირველად გამოყენებს 2022 წლის 01 იანვარიდან;

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა/იქნება გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ.

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. მოცემული ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში-ლარში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაანალიზება საბალანსო ღირებულებებით, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ თანხები არ არის ამოღებადი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება დგინდება საშუალო შეწონილი მეთოდის საფუძველზე.

შემოსავლები და ხარჯები

შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. შემოსავლის აღიარება ხდება დარიცხვის პრინციპით, კომპანიის მიერ შესაბამისი კანონმდებლობისა და რეგულირების ფარგლებში. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდა და საკუთრების უფლება გადაეცა.

ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო სარგებლის მიღება.

შემოსავლები, ხარჯები და აქტივები აღიარდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

- როდესაც დღე შეძენილ საქონელზე ან მომსახურებაზე არ ექვემდებარება ჩათვლას, ასეთ შემთხვევაში დღე ჩაითვლება შეძენილი საქონლის თვითღირებულებაში;
- მისაღები და გადასახდელი თანხები წარმოდგენილია დღე-ს ჩათვლით;
- ჩასათვლელი ან გადასახდელი დღე-ს თანხა, რომელიც უკავშირდება საგადასახადო ორგანოებთან ანგარიშსწორებას, ჩაითვლება დებიტორულ ან კრედიტორულ დავალიანებებში ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში.

ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების ღირებულებას აქტივად აღიარებს იმ შემთხვევაში, როდესაც:

- ა) მოსალოდნელია, რომ კომპანია მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და
- ბ) საწარმოსთვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები ბასს-16-ით აღირიცხება

თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების, აღრიცხვა ხდება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გათვალისწინებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც აქტივი შედის გამოყოფაში.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება სასარგებლო მომსახურების ვადები,

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტრულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა ფასდება განუსაზღვრელი ან განსაზღვრული ვადით.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

დაბეგვრა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ახალი მოდელი.

ამ მოდელის მთავარი ცვლილება არის ის რომ მოგების გადასახადის გადახდა ხდება დაგროვილი მოგების განაწილებისას. საანგარიშგებო პერიოდი წლის ნაცვლად გახდა თვე. გადასახადის განაკვეთი დარჩა იგივე - 15%.

მოგების გადასახადით ხდება არა წლიური არამედ ყოველთვიური შედეგების დაბეგვრა.

ხელფასები

დაქირავებულ პირთა ხელფასები/გასამრჯელოები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვა/დაბეგვრას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტისგან განსჯას, შეფასებებს, ვარაუდებს, რომლებიც ეხება შემოსავლების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებულ თანხებს, თანმხლებ ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და პირობით ვალდებულებებს. გაურკვეველობა ამ ვარაუდებისა და შეფასებების შესახებ, შესაძლოა, დასრულდეს ისეთი შედეგით, რომელიც მოითხოვს აქტივის ან ვალდებულების საბალანსო ღირებულების მომავალში კორექტირებას.

კომპანია შეფასებებსა და ვარაუდებს აკეთებს იმ პარამეტრების საფუძველზე როდესაც ფინანსური ანგარიშგება მომზადდება. არსებული გარემოებები და ვარაუდები მომავალი განვითარების შესახებ შესაძლოა შეიცვალოს ბაზრის ან გარემოებათა ცვლილებასთან ერთად, რომლებსაც კომპანია ვერ აკონტროლებს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. შენიშვნები - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ნუმერაცია 1.1-1.13)

საანგარიშო პერიოდი	31.12.2024	31.12.2023
1.1 ფული და ფულის ეკვივალენტები		
ნაღდი ფული სალაროში/ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში ლარში	0	0
ფული საბანკო ანგარიშებზე/ ეროვნული ვალუტა ლარი რეზიდენტ ბანკში	23962	36724
სულ	23962	36724
1.2 სავაჭრო მოთხოვნები		
მოიცავს საქონლის რეალიზაციით და მომსახურებით წარმოშობილ მოთხოვნებს	105656	1259333
სულ	105656	1259333
1.3 სასაქონლო მარაგები		
საქონელი საწყობში	1708	104578
სულ	1708	104578
1.4 სხვა მიმდინარე აქტივები		
გაცემული სესხები/სხვა მოკლევადიანი აქტივი	3749	2956
სულ	3749	2956
1.5 სხვა სავაჭრო ვალდებულებები		
სარეალიზაციო საქონლის შესყიდვების ვალდებულება	90608	1154937
სულ	90608	1154937

საანგარიშო პერიოდი	31,12,2024	31,12,2023
1.8 საგადასახადო ვალდებულება	0	6124
საგადასახადო ვალდებულება	<u>0</u>	<u>6124</u>
სულ	<u>0</u>	<u>6124</u>